სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

08/07/2025

MES 2 25 0000840585

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის-წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №16 ოქმის, საოქმო დადგენილება 3-ის საფუძველზე და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (08/07/2025წ;N838284) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-202 სასწავლო წელი (ბაკალავრიატში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) დაიწყოს 2025 წლის 6 ოქტომბერს და დასრულდეს 2026 წლის 17 ივლისს:

- **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) შემოდგომის სემესტრი დაიწყოს 2025 წლის 6 ოქტომბერს და დასრულდეს 2026 წლის 20 თებერვალს;
ბ) გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს 2026 წლის 9 მარტს და დასრულდეს 2026 წლის 17 ივლისს;
გ) პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 1 სექტემბრიდან და დასრულდეს 2025 წლის 26 სექტემბერს. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა შესაძლებელია კანონმდებლობის ფარგლებში;
დ) **შემოდგომის სემესტრში** სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 15 სექტემბრიდან და დასრულდეს 2025 წლის 26 სექტემბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე;
ე) **გაზაფხულის სემესტრში** სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 2 მარტიდან და დასრულდეს 2026 წლის 8 მარტს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე;
ვ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2025 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 3 იანვრის ჩათვლით;
ზ) უქმე დღეებში გაცდენილი სასწავლო კურსები ანაზღაურდეს ლექტორსა და სტუდენტს შორის შეთანხმების საფუძველზე, არაუმეტეს მომდევნო კვირისა.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2026 წლის 26 იანვარს და დასრულდეს 2026 წლის 7 თებერვალს;
ა)[1] დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2026 წლის 2 თებერვლიდან 2026 წლის 14 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2026 წლის 22 ივნისიდან და დასრულდეს 2026 წლის 4 ივლისს;
ბ)[1] დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2026 წლის 29 ივნისიდან 2026 წლის 11 ივლისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2026 წლის 23 თებერვლიდან და დასრულდეს 2026 წლის 8 მარტს;

2.ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3.სწავლა დაიწყოს 09:00 საათიდან;
4. 2025-2026 სასწავლო წელი დასრულდეს 2026 წლის 17 ივლისს;
5.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
7.სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა